ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №15

ქ. თბილისი 8 თებერვალი, 2016 წელი

ერთის მხრივ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ზელმანი" (შემდგომში – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან ცხადაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენა (CPV კოდი–71324000) დანართის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ფორმით;

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 240 (ორას ორმოცი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით;

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმებში მითითებულ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

5.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების წუნდების მიზეზის მითითებით;

5.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შემოწმებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება;

5.5. მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს – კობა ლომიძეს.

6.მხარეთა უფლება– მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2016 წლის 11 თებერვლის ჩათვლით;**

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 14 მარტის ჩათვლით.**

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების

ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

9.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

9.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს– მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

12.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან

შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს;

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

12.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის.

13 . მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს პარლამენტის	შპს „ზელმანი“
ეროვნული ბიბლიოთეკა	
საქართველო, ქ. თბილისი	საქართველო, ქ. თბილისი,
ლადო გუდიაშვილის ქ. №7	ზაზიაშვილის N1
ტელ: 2971 661	ტელ: +995597703000
ს/კ: 203845018	ს/კ: 404900327
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თიბისი ბანკი“
ანგ. №200122900	ბანკის კოდი: TBCBGE22850
	ანგ. №GE74TB7857936080100002
გენერალური დირექტორი	დირექტორი
გიორგი კეკელიძე	ამირან ცხადაძე

Energo Alternative
ZELMAN
Add: Zaziashvili 1, Tbilisi, Georgia 0112;
Mob.: +99 55 97 70 30 00;
e-mail: info@zelmani.ge

დამკვეთი:

ინვოისი № 03/02 – 2016

05.02.2016 წ.

თემა: დიზელ გენერატორის სიმძლავრეების შერჩევისა და დაგეგვმის მომსახურება

ფასების ცხრილი

N	პროდუქტის/სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	განზ-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	დიზელ გენერატორის სიმძლავრეების შერჩევისა და დაგეგვმის მომსახურება	1	ცალი	240.00	240.00
				ჯამი:	**240.00**

შენიშვნა: 1. ფასი მოცემულია ლარში დღგ–ს ჩათვლით;

შენიშვნა: შპს "ზელმანი"
404900327
"თი ბი სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი
TBCBGE22850
GE74 TB78 5793 6080 1000 02

ამირან ცხადაძე

შპს "ზელმანის" დირექტორი

ZELMANI
404900327